ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ტიპური მოდელი და მისი ქართული (პროექტისეული) ვარიანტი



იური გაბისონია

სამართლის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საპროფესოროს ხელმძღვანელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

როგორც ცნობილია, ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ქვეყნის სასამართლო სისტემა, შედგება როგორც ჰორიზონტალურად (ურთიერთდაუქვემდებარებლად), ისე ვერტიკალურად (ინსტანციურად) განფენილ სასამართლოთა (ავტონომიური იურისდიქციით), თუ სასამართლო სტრუქტურათა (მეტ-ნაკლებად ავტონომიური იურისდიქციით) სისტემური ერთობლიობისაგან. მათგან, იმ სამ ათეულამდე ქვეყანაში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სადღეისოდ არსებობს (მათგან დაახლოებით 20 ქვეყანაში - შედარებით „სრული იურისდიქციით"), ეს ინსტიტუტი ყველაზე უნიკალურია - ისტორიულადაც და თანამედროვე რეალიების პოზიციიდანაც. ჯერჯოდ, იგი იყო და რჩება პირველი ინსტანციის (ანუ საქმის არსებითად განმხილველ) სასამართლო სტრუქტურად, რომელიც ორგანიზაციულად ცალკე არსად არსებობს და ვერც იარსებებს მისი ერთობ სპეციფიკური, იმანენტურად განსაკუთრებული, საგამონაკლისო კონსტრუქციის გამო.

მცირე ისტორიული ექსკურსი

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის **„უცნაურობანი"** იმით იწყება, რომ სადღეისოდ, ისიც კი არ არის უდავოდ დადგენილი, ინგლისში შეიქმნა ეს ინსტიტუტი **„თავისუფლებათა დიდი ქარტიის"** ეპოქაში (როგორც მრავალთ მიაჩნიათ), თუ აქ იგი საფრანგეთიდან გადავიდა ინგლისის დამპყრობ **ნორმანთა** მეშვეობით. მაგრამ ფაქტია, რომ ნაფიც მსაჯულთა კლასიკური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა სწორედ **ინგლისში,** საუკუნეთა მანძილზე, ერთობ რთული, ზიგზაგობრივი და წინააღმდეგობრივი ევოლუციის შედეგად[1]. მე-16 საუკუნის დამლევიდან და, განსაკუთრებით, მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გავრცელებას იწყებს დიდი ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში (უწინარესად – **აშშ-ში,** რომელზეც ამჟამად მოდის ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეთა 2/3), ხოლო მე-18 და, განსაკუთრებით, მე-19 საუკუნეში, იგი სწრაფად ვრცელდება **კონტინენტური ევროპის** ქვეყანათა უმრავლესობაში – ძირითადად, როგორც სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სტრუქტურა (იშვიათად – სამოქალაქო საქმეებისაც). ამასთან, ფაქტები მოწმობს, რომ **ეს ინსტიტუტი გაცილებით ბუნებრივად ეგუება ანგლო-საქსურ (საერთო სამართლის) სამართლებრივ სისტემას, ვიდრე კონტინენტურს (რომანულ-გერმანულს).** ამის შედეგი და მაუწყებელია ის, რომ კონტინენტურმა ევროპამ (უწინარესად, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, სკანდინავიის რიგმა ქვეყნებმა...) დიდხანს **ვერ იგუა** ტიპური, ანუ კლასიკური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რის გამოც იგი შეცვალეს ე.წ. „შერეული" სისტემით, რომლის პირობებში უკვე აღარ არსებობს **ნაფიც მსაჯულთა ავტონომიური ნების პროდუქტი – ვერდიქტი**. კერძოდ, შერეული სისტემისას, პროფესიონალ მოსამართლეებს და არაპროფესიონალ მსაჯულებს (როგორც წესი, მათ „ინერციით" ზოგან კვლავ ნაფიც მსაჯულებს უწოდებენ – მაგ., საფრანგეთში) ერთობლივად (!) გამოაქვთ საქმეზე განაჩენი – როგორც **ფაქტის,** ისე სამართლის საკითხებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე, განაჩენი ერთპიროვნულად გამოაქვს მოსამართლეს).

მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე კვლავ იჩინა თავი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ზოგან ხელახალი „რეინკარნაციის", რიგ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კი – დაფუძნების ტენდენციამ. ამის დასტურია 1993-94 წლებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ხელახალი აღორძინება **რუსეთის** 9 მსხვილ ავტონომიასა თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, 2004 წლის 1 იანვრიდან კი – დანარჩენ ერთეულებში (გარდა ჩეჩნეთისა, სადაც იგი, ცნობილი მოვლენების გამო, რამდენიმე წლით გადაიდო), 1996 წელს კი – **ესპანეთში.** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაფუძნების მეტად არამყარი, წინააღმდეგობრივი პროცესები აღინიშნა, აგრეთვე რიგ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში[2], მათ შორის საქართველოშიც (კერძოდ,

[1] უფრო დაწვრილებით იხ.: ი. გაბისონია. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები. თბ., „მერიდიანი", 2008, გვ. 124-140.

[2] ამის რელიეფური მაგალითებია: ა) სომხეთის 1995 წლის კონსტიტუციის 91-ე მუხლით გათვალისწინებული ეს ინსტიტუტი რეალურად არ შექმნილა, 2005 წლის 27 ნოემბერს ზემოხსენებულ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით კი იგი საერთოდ იქნა ამოღებული; ბ) აზერბაიჯანის 1995-2001 წლების კანონმდებლობამ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში; გ) ფორმალურ-იურიდიულად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნის იდეა გახმიანდა, აგრეთვე, ყაზახეთსა და ბელორუსშიც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში, რომელიც მიღებულია პირველი მოსმენით და მზადდება უახლოეს პერიოდში საბოლოოდ მისაღებად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დათმობილი აქვს XXV თავი).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი ნიშან-თვისებები

ძველქართული სიტყვა **„მსაჯული“** აღნიშნავს პირს, **„ვინც სჯის, ასამართლებს – მოსამართლე“**[3] მისი მსაზღვრელი სიტყვა „ნაფიცი“ კი მიუთითებს უპირატესად რიტუალურ ნიშანზე – მსაჯულად გასამწესებელი პირის **დაფიცებაზე, ანუ, მის მიერ ფიცის მიღებაზე**. აქ უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პირობაა ის, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები უნდა შეირჩნენ და გამწესდნენ **„ფაქტის მოსამართლეებად“** (სწორედ ასეთია ნაფიცი მსაჯული) **შემთხვევითობის პრინციპით,** ამასთან, იმ ანგარიშით, რომ მათში შეძლებისდაგვარად სრულად აისახოს საზოგადოების სხვადასხვა – ნეიტრალური და მიუკერძოებელი – ფენები, ეროვნულ-ეთნიკური, რასობრივი, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული თუ რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები (ე.წ. **წარმომადგენლობის პრინციპი).**

ნაფიცი მსაჯულები არ არიან და არც შეიძლება იყვნენ **„მუდმივი მოსამართლეები“** – ისინი ფუნქციობენ **არამუდმივ საწყისებზე** (პერიოდულად, სასესიო წესით, დროებით...), რათა **გამოირიცხოს მათი პროფესიონალიზაცია,** ზედმეტი „გაშინაურება“ – ადაპტირება და, შესაბამისად, კავშირების გაბმა“ პროფესიონალ მოსამართლეთა კორპუსთან (ე.წ. **„არაპროფესიონალიზმის“ პრინციპი).**

ნაფიცი მსაჯულთა **ჟიურის**[4] – ერთადერთს მსოფლიოში გავრცელებულ სასამართლო სტრუქტურათაგან! – **კანონი აძლევს (უფრო ზუსტად, „ანებებს“) უფლებას, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება არა ფორმალური კანონის საფუძველზე, არამედ თავისი რწმენის, სინდისის**[5]**, მართლშეგნების (სამართლიანობის და არა კანონიერების გაგებით), ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მოქალაქეობრივი პოზიციის შესაბამისად, ანუ უკანონოდაც (კანონსაწინააღმდეგოდაც!) კი!!** ეს უკანასკნელი ნიშანი – ერთობ საგამონაკლისო და უცნაური! – ცნობილია **„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“** სახელწოდებით. ამგვარი „ინსტრუმენტის“ გამოყენების „ქრესტომათიული“ ისტორიული მაგალითია მე-19 საუკუნის რუსეთში მომხდარი ისტორიული ფაქტი: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (რომელსაც, საგულისხმოა, თავმჯდომარეობდა ცნობილი მეცნიერ-პრაქტიკოსი, პუბლიცისტი, და სახელმწიფო მოღვაწე **ა. კონი,** ხოლო, დაცვას ახორციელებდა რუსული ადვოკატურის კორიფე პ. ალექსანდროვი), ყველასათვის ფრიად მოულოდნელად, გამამართლებელი ვერდიქტი გამოუტანა (და, ცხადია, დარბაზიდანვე გაათავისუფლა) **ვერა ზასულიჩს,** რომელსაც ბრალი ედებოდა პეტერბურგის ქალაქის თავის, გენერალ **ტრეპოვის** მკვლელობის მცდელობაში – რევოლვერით მძიმედ დაჭრაში!...

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ორი აუცილებელი, ერთმანეთისაგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი სეგმენტი

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კიდევ ერთი (ამასთან ძირითადი, უმთავრესი, სპეციფიკური და, არსებითად, თვითკმარი!) ნიშანია ის, რომ **იგი შედგება ორი ავტონომიური, ერთმანეთისაგან იურისდიქციულად გამიჯნული ნაწილისაგან („კომპონენტისაგან“), რომლებიც წყვეტენ მართლმსაჯულების ორი ურთიერთდაკავშირებული (ერთობლიობაში – „ყოვლისმომცველი“) საკითხიდან – ფაქტის (ფაქტობრივი) და სამართლის (სამართლებრივი) საკითხიდან თითო საკითხს:** ნაფიცი მსაჯულები – პირველს, პროფესიონალი მოსამართლე, ანუ სხდომის თავმჯდომარე – მეორეს. ამგვარად, **ნაფიცი მსაჯულები თავიანთი ვერდიქტით წყვეტენ ფაქტის (მოხდა თუ არა დანაშაულებრივი ქმედება, ჩაიდინა თუ არა იგი ბრალდებულმა, დამნაშავეა (ბრალეულია) თუ არა იგი ამ ქმედების ჩადენაში და სხვ.) საკითხებს, „წმინდა“ სამართლებრივი საკითხების (უწინარესად, სასჯელის განსაზღვრა – დანიშვნის) გადაწყვეტა კი პროფესიონალი მოსამართლის კომპეტენციაა (პრეროგატივაა)[6].**

ნაფიც მსაჯულთა კონტინგენტის შერჩევა

(ზოგადი სქემა). ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (კოლეგიის შემადგენლობის) ფორმირებას წინ უძღვის საკმაოდ **„ფართოპლანიანი“** საქმიანობა – ნაფიც მსაჯულთა საერთო კონტინგენტის შერჩევა პირველადი „გაცხრილვითურთ“, რომელიც სქემატურად ასე გამოიყურება:

საერთო (პირველადი) სიის შედგენის მიზნით ძირითადად (მათ შორის, სამომავლოდ საქართველოშიც ასეა განზრახული) იყენებენ ჩვენში ეგზომ საქილიკოდ ქცეულ **ამომრჩეველთა სიებს.** ნაფიც მსაჯულთა კონტინგენტის შესარჩევად მათ ადგენენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები (სპეციალური კომისიების, აპარატის მუშაკებისა თუ საგანგებოდ დაქირავებულ პირთა მეშვეობით). უწინარესად, ხდება აღნიშნული სიების თავდაპირველი, „უხეში“ გადარჩევა – ვთქვათ, ასაკის, მოქალაქეობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ამგვარად „გაცხრილული“ სიები ეგზავნება შესაბამის ტერიტორიულ (რაიონულ, საქალაქო) სასამართლოებს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) პროექტის 246-ე მუხლის მიხედვით – ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივლისისა).

საერთო (პირველადი) სიების დაზუსტება – დახვეწა გრძელდება შესაბამის სასამართლოებში – იმ მიზნით, რომ მისგან **ამოირიცხოს** ყველა ის პირი, რომლის ნაფიც მსაჯულად ფუნქციობა კანონით **აკრძალულია** (მუდმივად ან დროებით). კერძოდ:

პროექტის 243-ე მუხლის თანახმად, პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულად, თუ: **ა) შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში; ბ)**

[3] ქეგლ, ტ. 5, თბ., 1958, გვ. 1134.

[4] **„ჟიურის“ ნაცვლად ზოგჯერ მას მოიხსენიებენ სხვა სახელწოდებით, მაგ., „კოლეგია“, „შემადგენლობა“, ქართულ პროექტში კი მას სახელწოდება... საერთოდ არა აქვს!...**

[5] **აქედან: „Forum concientae“ – „სინდისის სასამართლო“.**

[6] **ამ დასკვნას ვერ არყევს ის საგამონაკლისო გარემოებანი, რომ აშშ-ს 23 შტატში ნაფიცი მსაჯულები აგრეთვე იხილავენ და რეკომენდაციას (!) აძლევენ მოსამართლეს სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის (მათგან 5 შტატში კი – სხვა სასჯელებისაც) გამოყენების თაობაზე, რაც მოსამართლეებს ერთობ უადვილებს სიკვდილით დასჯით მსჯავრდების უძნელეს ამოცანას. იგივე შეიძლება ითქვას საგამონაკლისო დანიურ წესზეც, როცა 3 მოსამართლეს და 12 ნაფიც მსაჯულს ცალ-ცალკე გამოაქვთ ვერდიქტი.**

ფლობს პროცესის ენას; გ) საამისოდ შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები; დ) ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი.

შეუთავსებლობა. უარის თქმა

პირი, რომელიც, მართალია, აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, მაინც ვერ მიიღებს მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, **თუ არსებობს მისი აცილების საფუძველი** (მაგ., განსასჯელის ახლობელია) ან/და იგი: ა) **სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირია; ბ) პროკურატურის, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია; გ) ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; დ) სასულიერო პირია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, იურისტია; ე) აღნიშნულ (ამავე) საქმეზე პროცესის მონაწილეა, ანდა რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე იყო, ან არის ბრალდებული.** ამგვარ გარემოებათა გასაგებ ჩამონათვალს ემატება აგრეთვე, საკმაოდ **ბუნდოვანი** და, ამასთან, ჩვენს სინამდვილეში სახიფათო, თუ დამაფიქრებელი შემდეგი ფორმულირება: **„მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად ამ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე“** (მუხ. 244, ქვეპ. „ზ“). თუ სახელდობრ რა „მოსაზრებებზეა“ აქ საუბარი, ანდა მოსაზრებათა „გამოხატვის“ რა ფორმა იგულისხმება, ან კიდევ რა სახის „პირად გამოცდილებაზეა“ ეგზომ ზოგადი მინიშნება (რომელიც „აშკარად უსამართლოდ“ ხდისო ამ პირის ნაფიც მსაჯულად მონაწილეობას ამ საქმეში!) – გაუგებარია და მათზე მარჩიელობა თუ შეიძლება, რაც, რიგითი ადამიანების ბედთან ეგზომ მჭიდროდ დაკავშირებულ ამგვარ „რეპრესიულ“ საკანონმდებლო აქტში, ვფიქრობ, დაუშვებელია.[7]

პროექტის 245-ე მუხლი პირს უფლებას აძლევს, **„უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის განხორციელებაზე“, თუ: ა) უკანასკნელი წლის განმავლობაში იგი უკვე იყო ნაფიცი მსაჯული** (სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, ეს ვადა მინიმუმ 2 წელია“...)**; ბ) იგი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზარალს (ეს** ნიშანი, ცხადია, შეფასებითია!)**; გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ცხადია**, აქ ლაპარაკია დროებით, ხანმოკლე ავადმყოფობაზე – იგი მხოლოდ დროებით გადავადების საფუძველია)**; დ) ხანგრძლივი ვადით იმყოფება, ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ (წარმოადგენს მინიმუმ ამავე ვადით გადავადების საფუძველს); ე) იგი 70 წელს გადაცილებულია. ამგვარად, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამ ჩამონათვალში ერთმანეთშია არეული ნაფიც მსაჯულად ყოფნის გადავადებისა („ა“ – „დ“** ქვეპუნქტები) **და ნაფიც მსაჯულად ყოფნის მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძველი** (70 წელს გადაცილება; სხვა ქვეყნებში ეს ასაკი მეტწილად უფრო დაბალია).

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა. აცილება და თვითაცილება

მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც განსახილველად დაეწერა შესაბამისი სისხლის სამართლის საქმე) ე.წ. წინასასამართლო სხდომაზე მოიწვევს პროცესში მონაწილე მხარეებს (პროკურორი, ბრალდებული და მისი დამცველი, ხოლო თუ ბრალდებული არასრულწლოვანია – აგრეთვე მისი კანონიერი წარმომადგენელი) მსაჯულების შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ, მოსამართლე, მის მიერვე განსაზღვრული **ბიჯის**[8] გამოყენებით, წინასწარ ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას 50 პირის შემადგენლობით და იძახებს მათ წინასასამართლო სხდომაზე, სადაც, მხარეთა მონაწილეობით, წინასწარი განმარტებითი ხასიათის პროცედურების შემდეგ (მუხ. 247), ატარებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურას (მუხ. 248). კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ აცილებანი – როგორც დაუსაბუთებელი (12 – თუ ნაყენებული ბრალდება ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, 6 – ყველა დანარჩენ შემთხვევაში), ისე **დასაბუთებული** (არგუმენტირებული) – რაოდენობის შეუზღუდავად. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს, ცხადია, აქვს **არგუმენტირებული თვითაცილების** უფლება. თუ აცილებათა შედეგად დარჩა 14 ნაფიც მსაჯულზე ნაკლები (აქედან 12 ძირითადია, დანარჩენი 2 – სათადარიგო), მაშინ, სასამართლო სხდომა **გადაიდება** არაუმეტეს 10 დღისა და მოიწვევა **დამატებით** არაუმეტეს 30 კანდიდატისა, დამატებითი შერჩევის პროცედურის ჩასატარებლად (მუხ. 248, ნაწ.9).

ფიცის დადება, უფლება-მოვალეობათა განმარტება და სხვა „წინასწარი“ პროცედურები

არჩეულ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან, მათივე წილისყრის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს **უფროს ნაფიც მსაჯულს** (სხვა ქვეყნებში მას შეიძლება ერქვას მამასახლისი, თავმჯდომარე და ა.შ.). ამის შემდეგ ტარდება **რიტუალური პროცედურა – ფიცის დადება,** (ინდივიდუალურად, ფეხზე დგომით, სპეციალური „ნორმატიული“ ტექსტის მიხედვით[9]). ამის შემდეგ მოსამართლე მათ განუმარტავს უფლება-მოვალეობებს. კერძოდ:

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს: ა) მიიღოს წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ (ეს მოთხოვნა ლამის აბსურდულია, რადგან იგი თავად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციურ არსს და მსოფლიო პრაქტიკას ეწინააღმდეგება[10]); ბ) მიიღოს წინასწარი და შემდგომი განმარტებანი გამოსაყენებელი კანონის თაობაზე; გ) მოითხოვოს წინასწარი

[7] **ამგვარი „ექსტრა“ ნოველები პროექტში სხვაც მოიპოვება. ასე, მაგალითად, 242-ე მუხლის („ნაფიცი მსაჯულის სოციალური გარანტიები“) მე-3 ნაწილში მითითებულია შემდეგი: „სასამართლო ვალდებულია მოახდინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესების ინდივიდუალიზებული აკომოდაცია (შეწყობა, შეგუება, ადაპტაცია. – ი.გ.). სასამართლო თავისუფლდება აკომოდაციის ვალდებულებისაგან, თუ ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესების აკომოდაციით დაცული სიკეთე ნაკლებია, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ან მესამე პირისათვის (?!) მიყენებული ზიანი“. სხვას რომ თავი გავანებოთ, აქ სასამართლო გამოდის მკითხავის როლში, რომელმაც წინასწარ იცის, რომ „აკომოდაციით დაცული სიკეთე ნაკლებია“, ვიდრე მართლმსაჯულებისთვის ან ვიღაც მითიური „მესამე პირისათვის“ მიყენებული ზიანი!!!...**

[8] **ბიჯი – აქ აღნიშნავს ნაფიც მსაჯულთა საჭირო რაოდენობის ინტერვალური შემთხვევითობის პრინციპის დაცვით ამორჩევის წესს.**

[9] **იხ. პროექტის 251-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასეთივე გადაწყვეტაა ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც (იხ. ი. გაბისონია, დასახ. ნაშრ., გვ. 243-244)**

[10] **იხ. ი. გაბისონია, დასახ. ნაშრ., გვ. 243-246 და სხვ.**

თათბირის გამართვა; დ) გააკეთოს ჩანაწერები სხდომის მიმდინარეობისას; დ) სათათბირო ოთახში გასვლის წინ მოითხოვოს სასამართლო სხდომის ოქმი (მუხ. 252).

ნაფიცი მსაჯული ვალდებულია: ა) პროცესის მიმდინარეობისას არ დატოვოს სხდომის დარბაზი; ბ) ვერდიქტის გამოტანამდე, საქმის განხილვისას, არ დაუშვას საქმეზე ინფორმაციის გამჟღავნება ან მასზე საკუთარი აზრის გამოთქმა; გ) საქმესთან დაკავშირებით არ იქონიოს ურთიერთობა სხვა პირებთან, გარდა სხდომის თავმჯდომარისა; დ) არ დაუშვას სასამართლო სხდომის გარეთ ინფორმაციის მოძიება; ე) არ დაუშვას მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა; ვ) არ დაუშვას სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა (მუხ. 253, ნაწ.1). ამ მოვალეობის შესრულებას შეიძლება მოჰყვეს ნაფიც მსაჯულთა მოვალეობისაგან გათავისუფლება და/ან კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (ნაწ. 3-4).

ვერდიქტის გამოტანა და გამოცხადება

სხდომის თავმჯდომარე, სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად გასვლის წინ, ნაფიც მსაჯულებს აძლევს წერილობით განმარტებას გამოსაყენებელი კანონმდებლობის თაობაზე, ამასთან, ისე, რომ არანაირი ფორმით არ გამოხატავს თავის პირად შეხედულებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება (მუხ. 257). კერძოდ, ნაფიც მსაჯულებს განემარტებათ (257): **ა) ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძვლები; ბ) მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი წესები; გ) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება და ის გარემოება, რომ ყოველგვარი ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ; დ) რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს კანონსა**[11] **და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამასთან, არ შეიძლება ვარაუდზე დაყრდნობა და დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენება. აქვე განმარტებულია, რომ თითოეულ წაყენებულ ბრალდებაზე ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა სცადონ ერთსულოვანი ვერდიქტის მიღება. მაგრამ, თუ ისინი 6 საათის განმავლობაში**[12] **ამას ვერ მიაღწევენ, მათ შეუძლიათ ჩაატარონ კენჭისყრა. სახელდობრ, ჯერ კენჭი ეყრება გამამართლებელ ვერდიქტს და, თუ იგი არ იქნა მიღწეული – გამამტყუნებელ ვერდიქტს, შემდეგი წესის მიხედვით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ვერდიქტის დადგენისას, შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისგან, ვერდიქტი მიიღება 10 ხმით, თუ 10 მსაჯულისგან – 9 ხმით, თუ 9 მსაჯულისგან – 8 ხმით, თუ 8 მსაჯულისგან 7 ხმით, თუ 7 მსაჯულისგან – 6 ხმით, თუ 6 მსაჯულისგან –5 ხმით (მუხ. 261, ნაწ.3).** უნდა შევნიშნოთ, რომ ვერდიქტის 5 ხმით მიღების პრაქტიკა მსოფლიოში არსად არ ფიქსირდება – მხოლოდ აშშ-ს ზოგიერთ შტატშია დაშვებული 6 ნაფიცი მსაჯულით ვერდიქტის დადგენა, მაგრამ, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ექვსივე მსაჯული მისცემს ხმას გამამტყუნებელ ვერდიქტს. პროექტის 241-ე მუხლი ადგენს, რომ **უვადო თავისუფლების აღკვეთის დასანიშნად საჭიროა ვერდიქტის ერთხმად მიღება.** ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არ უნდა იყოს ათზე ნაკლები, მძიმე დანაშაულთა საქმეებზე – რვაზე ნაკლები, ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეებზე კი – ექვსზე ნაკლები (მუხ. 241, ნაწ.3).

თუ ამგვარი კენჭისყრისას არ გამოვლინდა **ვერდიქტის მიღების უუნარობა**[13], ყოველი ნაფიცი მსაჯული, თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად, რიგითობის მიხედვით (უფროსი მსაჯული ხმას აძლევს და ხელს აწერს ბოლოს), ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარის ეგიდით მისთვის წარდგენილი ორი ვერდიქტის **ფორმიდან ერთ-ერთზე – გამამტყუნებელზე, ან გამამართლებელზე** (ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება მას არა აქვს), ამასთან, ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით, ნაფიც მსაჯულებს შეიძლება წარედგინოთ გამამტყუნებელი ვერდიქტის **დამატებითი** ფორმა, რომელიც შეიცავს ბრალდების მიერ წაყენებული დანაშაულის ანალოგიური ელემენტების შემცველ უფრო მსუბუქ[14] დანაშაულს (მუხ. 262, ნაწ.3). გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, ხმათა უმრავლესობით (ანუ ვერდიქტისათვის დადგენილი წესისაგან გადახვევით) მოსამართლეს მისცენ ფაქტობრივად სავალდებულო (!) ხასიათის **რეკომენდაცია სასჯელის დამძიმების, ან შემსუბუქების** შესახებ (პირველ შემთხვევაში, განსასჯელს ვერ დაენიშნება სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი – მუხ. 266).

თუ ნაფიც მსაჯულთა მიერ ხელმოწერილი ვერდიქტი მოსამართლემ, მისი წაკითხვის შემდეგ, დაშვებული შეცდომების გასასწორებლად არ დაუბრუნა უფროს ნაფიც მსაჯულს, ეს უკანასკნელი სხდომის დარბაზში აქვეყნებს ვერდიქტს (მუხ. 263, ნაწ. 1-5). ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე **მადლობას უხდის** ნაფიც მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის და **დაითხოვს** მათ (იქვე, ნაწ. 6). ამით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის **პირველი** ეტაპი მთავრდება და **იწყება მეორე – განაჩენის დადგენის** ეტაპი.

განაჩენის დადგენა

თუ ვერდიქტი მთლიანად **გამამართლებელია,** დაპატიმრებული განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, ხოლო სხდომის თავმჯდომარემ 3 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს **გამამართლებელი განაჩენი.** ხოლო, გამამტყუნებელი ვერდიქტის

[11] **პროექტში ჩაწერილია, რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს „სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს“, რაც ერთობ უცნაური და „უხერხული“ ფორმულირებაა, ისევე, როგორც 261-ე მუხლის (ნაწ.1) შემდეგი დებულება: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე“ (?!).**

სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით დაწესებულია სხვადასხვა დრო – ნაკლები ან მეტი..

[12] **ძალზე მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის შემთხვევა, როცა, ვთქვათ, მსაჯული (ან მსაჯულები) უარს აცხადებს (აცხადებენ) მსჯელობაში მონაწილეობაზე, ან აღმოაჩნდება (აღმოაჩნდებათ) რაიმე ინტერესი საქმის მიმართ და ა.შ.**

[13] **ძალზე მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის შემთხვევა, როცა, ვთქვათ, მსაჯული (ან მსაჯულები) უარს აცხადებს (აცხადებენ) მსჯელობაში მონაწილეობაზე, ან აღმოაჩნდება (აღმოაჩნდებათ) რაიმე ინტერესი საქმის მიმართ და ა.შ.**

[14] **პროექტში (მუხ. 262, ნაწ. 3) ნახსენებია „შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული“, რაც მოქმედი სსკ-ის (მუხ. 12, ნაწ. 1) მკაცრ ტერმინოლოგიურ ფორმულირებას შინაარსობრივად ეწინააღმდეგება თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ „უფრო მსუბუქი დანაშაული“ შეიძლება დარჩეს იმავე – მძიმე ან ნაკლებად მძიმე – დანაშაულის კატეგორიაში (მაგ., 109-დან 108-ე მუხლზე გადასვლისას).**

გამოტანის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე, არაუგვიანეს ერთი კვირისა, ნიშნავს **სასჯელის დანიშვნის სხდომას** (მუხ. 263, ნაწ. 7-8). ამ სხდომაზე მხარეები, უკვე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, აგრეთვე სხვა, დამატებით წარდგენილ („ახალ“) მტკიცებულებათა საფუძველზე (ასეთია, მაგალითად, დახასიათებები, ცნობები ნასამართლობის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, ნამსახურობის, ჯილდოების და სხვა ყურადსაღებ გარემოებათა შესახებ, შუამდგომლობები და მისთ.) სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით[15], ამასთან, უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი პოზიცია მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებზე (მუხ. 265, ნაწ. 1-2).

პროექტი (მუხ. 267) ადგენს, რომ: **ა) განაჩენი ერთმნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს, ამასთან, იგი არ არის უფლებამოსილი ეჭვი შეიტანოს მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში ან რეკომენდაციაში (!) სასჯელის შემსუბუქების, ან დამძიმების შესახებ; ბ) განაჩენის დადგენისას მოსამართლე არ ასაბუთებს მას ვერდიქტის ნაწილში, ხოლო, რაც შეეხება სასჯელის ნაწილს, იგი მოტივირებული უნდა იყოს სასჯელის შემამსუბუქებელი, ან დამამძიმებელი რეკომენდაციის გათვალისწინებით (მუხ. 267, ნაწ. 1-3).**

განაჩენის ძალაში შესვლა და გასაჩივრება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე (მუხ. 267, ნაწ.1). მათგან, **გამამართლებელი განაჩენი** საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. რაც შეეხება **გამამტყუნებელ განაჩენს**, იგი **საკასაციო** (მაგრამ არა სააპელაციო!) წესით **საჩივრდება** კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში (მოსამართლის მიერ არსებითად უკანონო გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებათა დასაშვებობის, საკითხის, მხარეთა შუამდგომლობის, განმარტების მიცემის, განაჩენის გამოტანისას ვერდიქტის გამოყენების, სასჯელის განსაზღვრის საკითხებში – იხ. მუხ. 268, ნაწ. 2). თუ განაჩენი გაუქმებულ იქნა ვერდიქტის ნაწილში, საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას, ხოლო, თუ იგი გაუქმდა სასჯელის ნაწილში, **„საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს“** (მუხ. 268, ნაწ.4). ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ძნელია დაეთანხმო საქმეზე უკანონო სასჯელის გამომტანი მოსამართლისთვის საქმის ამ ნაწილში ხელახლა განხილვისთვის დაბრუნების გადაწყვეტილებას.

პროექტის ზოგიერთი სხვა „უცნაურობის“ შესახებ

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული ვარიანტი, სსსკ-ის პროექტში, ერთი შეხედვით, თითქოს საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი. შემდგომი ანალიზისას კი ნათელი ხდება, რომ **პროექტი ფაქტობრივად არ შეიცავს (!) უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების სპეციფიკურ საპროცესო, თუ პროცედურულ წესებს.** მართალია, პროექტის XXV თავის („ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“) პირველივე (240-ე) მუხლის მეორე წინადადება მიუთითებს, რომ **„ამ კოდექსის ნორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ამ თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თანაბრად ვრცელდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვაზე“,** მაგრამ, ამავე მუხლის პირველი წინადადება ცალსახად გვამცნობს, რომ **„ეს თავი ადგენს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, მართლმსაჯულების განხორციელებაში მათი მონაწილეობისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვის წესებს“.** პროექტის წინა (2006 წლის 3 ივლისის) ვარიანტისაგან განსხვავებით, **„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვის წესები“** (?!) პროექტის ბოლო ვარიანტში ფაქტობრივად არ ჩანს (პროცესის გახსნა, განხილვის დაწყება, მისი მიმდინარეობა, ანუ მტკიცებულებათა თუ შუამდგომლობათა განხილვა-გამოკვლევა და მისთ.).

გარდა ამისა, პროექტის ბოლო ვარიანტში (მუხ. 29.) გაჩნდა ერთობ სადავო, უცნაური და დამაფიქრებელი მე-8 და მე-9 ნაწილები. კერძოდ:

ა) **მე-8 ნაწილი** ლაპარაკობს რაღაც გაურკვეველ სიტუაციაზე – როცა **„დანაშაულის სიმძიმიდან და ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად ხელყოფილ იქნეს მათი ხელშეუხებლობა, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს განსჯადობის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლო“.** ამ მეტად უცნაურ დებულებას (მსოფლიოში, მათ შორის აშშ-ში, საიდანაც ამ პროექტის „ჩონჩხია“ გადმოღებული, ასეთ შემთხვევაში აძლიერებენ ნაფიც მსაჯულთა დაცვას და არა ჩამოაშორებენ მათ საქმეს!...) მოსდევს შემდეგი, კიდევ უფრო უცნაური ნოველა: **„იგივე წესი გამოიყენება, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.** გამოდის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება **„ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლების“** დარღვევის საფრთხის შემცველი მოვლენა ყოფილა, რაც, ვფიქრობ, აქ კომენტარს არც კი საჭიროებს[16];

ბ) ამავე მუხლის **მე-9 ნაწილის თანახმად**, თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმე განიხილება მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე“. ამ დებულების „სოლიდურობა“ მაშინვე საფუძვლიან ეჭვქვეშ დადგება, როგორც კი ვიტყვით, რომ, ჯერ ერთი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქვემდებარე (109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე!) არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით ჩვენში „გარეთ“ მყოფი კაცი ფაქტობრივად წარმოუდგენელია და, მეორეც, საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხომ მხოლოდ მისი თანხმობით (რასაც „თავარიდებული“ კაცი, ცხადია, იურიდიულად ვერ განაცხადებს!...) გადაეცემა!...

[15] **პროექტის ამ ნაწილში (მუხ. 265, ნაწ.1) შემდეგ მითითებულია, რომ „თუ ორივე მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა ტარდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით“. ძალზე რბილად რომ ვთქვათ, ეს გაუგებრობაა, რადგან ნაფიცი მსაჯულები უკვე რამდენიმე დღის დათხოვნილნი არიან სხდომიდან (მუხ. 263, ნაწ. 6).**

[16] **უფრო დაწვრილებით იხ: ი. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 434-435.**

P.S. სიტყვამაც მოიტანა და ისედაც აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი „უცნაურობის“ შესახებ: პროექტის მე-13 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „თუ ორივე მხარე (!) უარს არ განაცხადებს, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირის ბრალეულობის საკითხს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“. გამოდის, რომ თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ხოლო პროკურორმა თანხმობა განაცხადა, ან კიდევ, ბრალდებული (განსასჯელი) თანახმაა, მაგრამ პროკურორი წინააღმდეგია, ამ პირის ბრალდების საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ განიხილავს!... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, მსოფლიოში (აშშ, ინგლისი, რუსეთი და ა.შ.) პირის ბრალდების საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს მხოლოდ ბრალდებულის (განსასჯელის) თანხმობით (და არა თანხმობის მიუხედავად!) და, ამასთან, პროკურორს საერთოდ არ ეკითხებიან თანხმობის თაობაზე, ჩვენში კი „საეჭვო“ საქმეებზე პროკურორის თანხმობის არქონის გამო, საქმეს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაცვლად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს, ნაფიც მსაჯულთა ისედაც „ნელთბილი“ ინსტიტუტის ნოველირება, ფაქტობრივად, იმთავითვე „გარანტირებულია“!...



АНОТАЦИЯ

ТИПИЧНИЙ МОДЕЛЬ ПРИСЯЖНОГО СУДА И ЕГО ГРУЗИНСКИЙ (ПРОЕКТНЫЙ) ВАРИАНТ

Юрий Габисония, доктор

Суд присяжных заседателей, существующий в настоящее время в около 30 государствах мира (из них в США рассмотрываются более 2/3 всех дел с участием присяжных), в настоящее время внедряется в постсоциялистических государствах, в том числе в Грузии. В частности, согласно проэкту УПК, принятому парламентом Грузии первым чтением еще в 2006 году, сначала суд присяжных заседателей внедряется только в Тбилисском городском суде, для рассмотрения уголовных дел, предусмотренных ст.109 УК Грузии – убийства с отъягчающим обстоятельством. Уголовные дела рассмотрываються с участием 12 основных и 2 запасных заседателей, однако, допускается вынесение вердикта и в случае уменьшения числа присяжных в процессе рассмотрения уголовного дела.

Состав (коллегия, жюри) присяжных формируется из числа избирателей, с соблюдениеь принципа случайности, представительности, непостоянности. Они уголовные (в редких случаях – гражданские) дела рассмотривают и решают на основании совести, правосознания, опыта, гражданской позиции, притом, не исключается принятие незаконного (противозаконного) решения (т. н. “нулификация суда присяжных заседателей“), который на этом основании отмене не подлежит.

Суд присяжных заседателей – единственный судебный орган, в котором решения принимаются в двух автономных сегментах – присяжеными заседателями и профессиональным судьей, притом, первые автономно решают вопросы факта (совершил ли подсудиый преступление, является или нет выновным в его совершении и т.д.), а судья, до или после винесения обвинительного вердикта, решает лишь вопросы права, в том числе, на основании вердикта виносит приговоро назначении наюазания. Данный приговор не подлежит обжалованию в аппелационную инстанцию, а в кассационном порядке могут быть обжалованы только обвинительные приговоры.